თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ.თერჯოლა 30 აგვისტო 2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5. შალვა ჭანკვეტაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. მერაბი ბასილაძე, 3. ივანე ჩუბნინიძე, 4. როლანდი მესხი.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 11 **წევრი**
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 6 **წევრი**

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონიძიებათა განსაზღვრის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282424238,29.08.2024 წ.).

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან

დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონიძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი - საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს N 27/08/02 განკარგულებით საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა 2024 წლის 26 ოქტომბერს. შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისთვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონიძიებათა განსაზღვრის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე
ბადრი ბუცხრიკიძე